

ექვთიმე ათონელი - ავტორი „ვარლაამისა და იოასაფის სულისმარგებელი თხზულებისა“

იოანის კონსტანტინოს გროსმანი

ვენის უნივერსიტეტი

საკვანძო სიტყვები: *ექვთიმე ათონელი; ქართულ-ბერძნული თარგმანი; ბალავარიანი; ავტორობის საკითხი; ატრიბუცია*

სამი ელემენტი, რომელთა შესახებაც თითქმის ასი წელია ქართველოლოგები და ბიზანტინისტები მსჯელობენ, დღეს ქართველოლოგთა მოსაზრების სასარგებლოდ გადაწყდა:

1. ბერძნული ვარლაამის ნარატიული ჩარჩო ნათარგმნია ქართული „ბალავარიანიდან“ და არა პირიქით,

2. ბერძნული ვარლაამი შეიქმნა დაახლოებით 1000 წელს და,

3. იმის გათვალისწინებით, რომ მრავალი ცნობა ბერძნულ „ვარლაამისა და იოასაფის ისტორიას“ ქართველ მთარგმნელსა და ავტორს, ექვთიმე ათონელს (1028 წ.) უკავშირებს, მოსალოდნელია, რომ სწორედ მან თარგმნა ქართული „ბალავარიანი“ ბერძნულად.

საკითხავი რჩება მხოლოდ ის, თავად ეფთვიმემ გადაამუშავა თუ არა „ბალავარიანის“ თავდაპირველი თარგმანი უამრავი ციტატისა და სხვა ვრცელი ბერძნული ტექსტების ჩასმით, თუ ეს სხვა რომელიმე მწერალმა გააკეთა. ზოგიერთი კოლეგა ექვთიმეს ავტორობას ეთანხმება შემდგომი მსჯელობის გარეშე (ფოლკი, ჰოგელი). თუმცაღა ორი ძირითადი არგუმენტი მხარს უჭერს მის ავტორობას:

1. ექვთიმეს ავტორობის მხარდაჭერისას დაბრკოლებას წარმოადგენდა ჩემი ვარაუდი იმის შესახებ, რომ ის ზუსტად თარგმნიდა. თუმცა სხვადასხვა კვლევამ დაადასტურა, რომ ექვთიმე თავისუფლად თარგმნიდა, აკლებდა თუ ამატებდა ფრაზებს და სხვა ტექსტებიდან ვრცელ ნაწყვეტებსაც ურთავდა თავის „თარგმანებს“, ითვალისწინებდა რა მკითხველის საჭიროებებს (შდრ. სიმელიდისის ვრცელი მიმოხილვა). ექვთიმე ათონელის ეს მთარგმნელობითი მეთოდი პირველად ეფრემ მცირემ (XI ს. II ნახევარი) შენიშნა.

2. მიმინოშვილმა შენიშნა, რომ ბერძნული „ვარლაამისა და იოასაფის ისტორია“ შეიცავს რამდენიმე ციტატას პატრისტიკული ლიტერატურიდან, რომლებიც ჰგავს ექვთიმეს მიერ ქართულ ენაზე შედგენილ პატრისტიკული ციტატების კომპენდიუმს, სახელწოდებით „ოდეგოსი“ (ὁδηγός). მსგავსია მათი თანმიმდევრობა, ლექსიკა და ფრაზეოლოგია. თუმცა აშკარაა, რომ ეს ციტატები არ არის ზუსტი ციტირება პატრისტიკული ლიტერატურიდან. ლოგიკურია, რომ ასეთი სახელმძღვანელოს ფართო გამოყენება მიუთითებს ექვთიმეზე, რომელმაც შექმნა იგი ამ მიზნით.

3. ასევე, მნიშვნელოვანია ორი ბერძნული და ერთი ლათინური ხელნაწერის ლემა, რომელიც შეიცავს ბერძნულ „ვარლაამისა და იოასაფის ისტორიას“ და მის ლათინურ თარგმანს. ლემაში მოხსენიებულია ექვთიმე, როგორც „ვარლაამისა და იოასაფის ისტორიის“ მთარგმნელი. გარდა ამისა, ექვთიმეს მიერ „ბალავარიანის“ თარგმნაზე მიუთითებს გიორგი ათონელი „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში“ და იოანე ათონელი თავის ანდერძში.

უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნულ „ვარლაამისა და იოასაფის ისტორიაზე“ ყოველი კვლევა უნდა განხორციელდეს ფოლკის გამოცემის c ვერსიის მიხედვით, რადგან მისი გამოცემის ძირითადი ტექსტი A ვერსიაა, რომელიც არის მოგვიანებით გადამუშავებული. ყველაზე ძველი თარიღიანი ხელნაწერი, რომელიც შეიცავს ტექსტის გადამუშავებულ ვერსიას, 1021 წლითაა დათარიღებული. ამ დროს ექვთიმე ჯერ კიდევ ცოცხალია. ამგვარად, ვინაიდან ექვთიმე მიჩნეულია ორიგინალი c ვერსიის ავტორად, დიდად სავარაუდოა, რომ მან თავად შექმნა თავისი მოთხრობის შესწორებული ვერსია.

ბერძნული „ვარლაამისა და იოასაფის ისტორიის“ სახელწოდება „სულისმარგებელ ამბად“ (ψυχωφελής ἱστορία) გასაოცარია, რადგან არცერთი წმინდანის ცხოვრებას ბერძნულად ასე არ მოიხსენიებენ. ამიტომ ვვარაუდობ, რომ ექვთიმემ, როგორც მეცნიერმა და ღვთისმოსავმა, კარგად იცოდა, რომ ვარლაამი და იოასაფი ფიქტიური პერსონაჟები იყვნენ. შესაძლოა, მან იცოდა „ბალავარიანის“ არაბული ტექსტიდან წარმომავლობის შესახებაც. ამიტომ არ უწოდა თავის თარგმანს „ცხოვრება“ (βίος) და, ალბათ, არც ტექსტის ორი მთავარი გმირის წმინდანთა კალენდარში შეტანის მოლოდინი ჰქონდა. ფაქტობრივად, ტექსტის ფიქტიურმა ხასიათმა მისცა მას შესაძლებლობა, თავისუფლად გადაემუშავებინა ტექსტი თავისი შეხედულებებისამებრ.